



კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში წყალთან დაკავშირებული კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) პრინციპები

ლიდერებმა, გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა და მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ წყალთან დაკავშირებული კატასტროფები¹ კვლავაც გარდაუვალია კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში. კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) სტრატეგიები და ღონისძიებები, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი ამჟამად არსებული პანდემიური სიტუაციისთვის, დაიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებს, რათა არ იქცნენ პანდემიის აფეთქების ეპიცენტრებად და ხელს შეუწყობს კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციას. ქვემოთ მოყვანილი პრინციპები პრაქტიკულ რჩევებს სთავაზობს პოლიტიკურ ლიდერებს, DRR მენეჯერებს და კოვიდ-19-ზე მორეაგირებებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს, თუ როგორ ჩამოაყალიბონ სტრატეგიები და ღონისძიებები. ამ ინიციატივებს შეუძლიათ წყალთან დაკავშირებულ კატასტროფებზე რეაგირების ხელშეწყობა, რომელიც მომავალში ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს, პანდემიის პირობებშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპები შეეხება წყალთან დაკავშირებულ კატასტროფებს, მათი გამოყენება შეიძლება სხვა სახის კატასტროფული პროცესების შემთხვევაშიც.

ამჟამად არსებულ კოვიდ-19-ის პირობებში უშუალო ყურადღება ექცევა კოვიდ-19-ით ინფიცირების შემცირებას და დაავადებულების მკურნალობას. თუმცა წყალთან დაკავშირებული კატასტროფები ახლაც ისევე გარდაუვალია, როგორც კოვიდ-19-მდე. DRR საგანგებო რეაგირებასა და კოვიდ-19 ჯანდაცვის რეაგირებას შორის კონკურენციამ და გართულებებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გააძლიეროს ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბები.

იმისთვის, რომ დავიცვათ წყალთან დაკავშირებული კატასტროფების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიები, რათა არ გახდეს პანდემიის ახალი ეპიცენტრები ან კლასტერები, საჭიროა DRR სტრატეგიებისა და წინმსწრები ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც

¹ ამ დოკუმენტში წყალთან დაკავშირებული კატასტროფები ნიშნავს ყველანაირ კატასტროფას, რომელიც წყლის საშუალებით ახდენს ზემოქმედებას. მათ შორისაა ინტენსიური წვიმა, ქარიშხალი, წყალდიდობა, გვალვა, მეწყერი, ღვარცოფი, ცუნამი, ძლიერი მოქცევა, გათხევადება, მყინვარული ტბის გამოხეთქვით გამოწვეული წყალდიდობა (GLOF), და წყლის დაბინძურების ინციდენტები. წყალთან დაკავშირებული კატასტროფები შეადგენს ყველა კატასტროფის 95%-ს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების რაოდენობის თვალსაზრისით. ბოლო 1000 მსხვილი კატასტროფის 90%-ზე მეტი წყალს უკავშირდება.

ეფექტური იქნება ამჟამინდელი პანდემიის პირობებში. ქვემოთ მოყვანილი პრინციპები პრაქტიკულ რჩევებს სთავაზობს პოლიტიკურ ლიდერებს, DRR და კოვიდ-19 მენეჯერებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს, თუ როგორ მოემზადონ და მოახდინონ რეაგირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ზემოქმედების მასშტაბების ზრდა თანმდევი კატასტროფების გამო. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპები შეეხება წყალთან დაკავშირებულ კატასტროფულ მოვლენებს, ისინი თანაბარწილად მიესადაგება სხვა სახის კრიზისულ მოვლენებსაც.

- პრინციპი 1: გააძლიერეთ ლიდერების ინფორმირებულობა პანდემიის პირობებში კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) თაობაზე
- პრინციპი 2: მოახდინეთ კატასტროფების და პანდემიის რისკების მართვისკენ მიმართული ქმედებების ინტეგრირება
- პრინციპი 3: უზრუნველყავით სუფთა წყლის მიწოდების, სანიტარიის, ჰიგიენის მდგრადობა კატასტროფების დროს და მათ შემდგომ
- პრინციპი 4: დაიცავით კატასტროფების რისკის მართვაში ჩართული მხარეები კოვიდ-19-ის საფრთხეებისგან
- პრინციპი 5: დაიცავით მწირი სამედიცინო რესურსები კატასტროფის ზემოქმედებისგან
- პრინციპი 6: დაიცავით კატასტროფის გამო ევაკუირებული პირები კოვიდ-19-ის საფრთხისგან
- პრინციპი 7: დაიცავით კოვიდ-19 პაციენტები კატასტროფის საფრთხისგან
- პრინციპი 8: შეიმუშავეთ ევაკუაციის სპეციალიზირებული სახელმძღვანელოები იმ ქალაქებისა და რაიონებისთვის, სადაც კოვიდ-19-ის „ლოქდაუნი“ მოქმედებს
- პრინციპი 9: ეფექტიანად დააფინანსეთ DRR ღონისძიებები კოვიდ-19-ის ფარგლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკური კატასტროფა
- პრინციპი 10: განამტკიცეთ გლობალური სოლიდარობა და საერთაშორისო თანამშრომლობა ამ ერთდროულ გამოწვევებთან გასამკლავებლად და ჩვენი სამყაროს აღსადგენად უკეთესი სახით.

იმის გათვალისწინებით, რომ კატასტროფებზე რეაგირებას და წყალდიდობის ან გვალვის შედეგების ლიკვიდაციას ართულებს კოვიდ-19-ის შერბილება და პირიქით.

პრინციპი 1: გააძლიერეთ ლიდერების ინფორმირებულობა პანდემიის პირობებში კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) თაობაზე

- იცოდეთ, რომ წყალთან დაკავშირებული კატასტროფები გარდაუვალია კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდშიც. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა იმ რაიონებში, რომლებიც მოქცეული როგორც სტიქიური უბედურების, ასევე პანდემიის ზემოქმედების ქვეშ, შეიძლება რთული და დამაბნეველი იყოს, ეტაპობრივი გადაწყვეტილებები დაგეხმარებათ სიტუაციასთან გამკლავებაში. შესაძლოა რისკები ძალიან დიდი და რთული ჩანდეს, მაგრამ არ დანებდეთ. შემდგომი დაბნეულობის თავიდან აცილებას ხელს შეუწყობს DRR გადაწყვეტილებების მიღება პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით და პირიქით.
- უზრუნველყავით კატასტროფასა და პანდემიასთან დაკავშირებული რისკების მართვის სტრატეგიებისა და ღონისძიებების ინტეგრირება. ერთად შეკრიბეთ DRR და კოვიდ-19 ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფები, რათა კონსულტაცია ჩაატაროთ მათ შორის მიმდინარე დიალოგის და ინტეგრირებული კონსულტაციების ფარგლებში. უმნიშვნელოვანისი გადაწყვეტილებები მიიღეთ მათთან კონსულტაციით.
- წყალთან დაკავშირებული კატასტროფის შემთხვევაში შეინარჩუნეთ ან რაც შეიძლება სწრაფად აღადგინეთ ისეთი უმთავრესი სერვისები, როგორცაა ელექტრომომარაგება, ტრანსპორტი, წყალმომარაგება და ჰიგიენა, რათა მოხდეს დაავადების გავრცელების და თანამდევის სტიქიური უბედურებების კუმულაციური ეფექტების პრევენცია, ასევე დაიცავით უმნიშვნელოვანესი სამედიცინო და DRR პერსონალი. ამისთვის დაავალეთ DRR მენეჯერებს, რომ მიიღონ წინასწარი ზომები, როგორცაა კრიტიკული ინფრასტრუქტურის საგანგებო დაცვის დაგეგმვა და აღსადგენი მასალების/ აღჭურვილობის საგანგებო მარაგების უზრუნველყოფა. დაავალეთ DRR მენეჯერებს, რომ შექმნან პერსონალის და აღჭურვილობის სწრაფი მობილიზების სისტემა DRR-სთვის საგანგებო შემთხვევაში, რადგან ისინი შესაძლოა არ იყოს დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი, რადგან თანამდებობის პირები ცვლებში მუშაობენ ხოლო საჯარო სამსახურები შეზღუდულია კოვიდ-19-ის პირობებში.
- დაუყოვნებლივ მოსთხოვეთ DRR მენეჯერებს, რომ შეადგინონ სტიქიური უბედურებების რისკების მართვის გეგმები პანდემიის პირობებში, რათა მზად იყვნენ მისი შესაძლებლობისთვის. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საავადმყოფოების, სამედიცინო ობიექტების და მათი პერსონალის დაცვას. DRR -ის და კოვიდ-19-ის პრევენციის თვალსაზრისით, DRR გეგმები კოვიდ-19-ის პირობებში უნდა ითვალისწინებდეს მამაკაცების, ქალების, ახალგაზრდებისა და ბავშვების, ხანდაზმელების, უნარშეზღუდული პირების, მიგრანტების, იძულებით გადაადგილებული პირების - როგორცაა ლტოლვილები და ქვეყნის-შიდა ტერიტორიაზე ადგილნაცვალი პირები, მოქალაქეობის არმქონე პირები, დღიური მუშები, ღარიბი და დაბალშემოსავლიანი რაიონების მაცხოვრებლები, უსახლკაროები და კოვიდ-19-სადმი მგრძობიარე პირები - როგორცაა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები - სპეციფიურ საჭიროებებს. შეაგროვეთ დისაგრეგირებული მონაცემები კოვიდ-19-ის და კატასტროფის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე სქესის, სასკის, რასის, ქრონიკული დაავადებების ქონის/არქონის, ზემოთ აღნიშნული სპეციფიური ჯგუფების მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს ეფექტიანი ინტეგრირებული გეგმების შექმნა, რომლებიც იბრძოლებს, როგორც კოვიდ-19-ის, ასევე კატასტროფის წინააღმდეგ.

- უზრუნველყავით, რომ სამოქალაქო თავდაცვის ორგანოებს და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურებს გააჩრდეთ საგანგებო ოპერატიული გეგმები, რათა ერთდროულად გაუმკლავდნენ კატასტროფას და კოვიდ-19-ს, რათა სწრაფად დაბალანსდეს მათი პარალელური პასუხისმგებლობები, რადგან ისინი უკვე რეაგირებენ კოვიდ-19-ზე.
- ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფისას უმაღლესი პრიორიტეტი მიანიჭეთ წყალმომარაგების და სანიტარული სერვისების მდგრადობას კატასტროფის დროს და მათ შემდგომ, ვინაიდან ჰიგიენა, განსაკუთრებით ხელების დაბანა, კრიტიკული საკითხია კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად.
- ამ დოკუმენტის პრინციპის პუნქტები შეიტანეთ ეროვნულ და სათემო DRR გეგმებში. სთხოვეთ DRR-ით დაინტერესებულ ყველა მხარეს, მათ შორის კერძო სექტორებს, რომ ამ პრინციპების პუნქტები შეიტანონ ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის გეგმებში (BCPs).

იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა DRR და კოვიდ-19 შერბილებაში მონაწილე მხარეების კოორდინაცია ეფექტური და ეფექტიანი რეაგირებისთვის.

პრინციპი 2: მოახდინეთ კატასტროფის და პანდემიის რისკების მართვისკენ მიმართული ქმედებების ინტეგრირება

- სრულად ჩართეთ ჯანდაცვის სექტორი რისკების მართვის ინტეგრირებულ სისტემაში. DRR-სთვის გამოიყენეთ სენდაის ჩარჩოს და სხვა საერთაშორისო გაიდლაინების ძირითადი მიდგომები, რათა განარტყიკოთ DRR მართვა კოვიდ-19-ის პირობებში, როგორც: რისკებზე დაფუძნებული მიდგომები; საგანგებო სიტუაციების ყოველმხრივი მართვა; მიდგომა ყველა საფრთხის გათვალისწინებით; ინკლუზიური, ადამიანებზე და თემებზე მიმართული მიდგომა; მრავალდარგობრივი და მრავალ-დისციპლინური თანამშრომლობა; ჯანდაცვის მთლიან სისტემაზე დაფუძნებული მიდგომა; ეთნიკური საკითხების გათვალისწინება. DRR თანამშრომლობისა და ღონისძიებების პროტოკოლები უნდა გადაიხედოს და შესწორდეს ყველა სახის საფრთხეებისადმი, მათ შორის ბიოლოგიური საფრთხეებისადმი მედეგობის განსამტკიცებლად.
- სწრაფად გააზიარეთ და შეიწავლეთ ინფორმაცია ბოლოდროინდელი ინტენსიური წვიმების, წყალდიდობების, ქარიშხლებისა და ტორნადოების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კოვიდ-19-ის პირობებში. ბევრი ასეთი გამოცდილება ასახულია ამ პრინციპებში.
- შექმენით კონკრეტულ სიტუაციებზე მორგებული სახელმძღვანელოები და ვებინარები კოვიდ-19-ის პირობებში DRR მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებიც ასახავს თქვენს სპეციფიურ სოციალურ, კულტურულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ გარემოებებს. გაითვალისწინეთ წყალთან დაკავშირებული კატასტროფის მართვის ვარჯიშების ჩატარების საჭიროება DRR მენეჯერებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ კოვიდ-19-ის პირობებში.

- მიაწოდეთ საფრთხეების ამსახველი რუქები და ჩაუტარეთ DRR კონსულტაციები საავადმყოფოებს და ჯანდაცვის ობიექტებს მანამ, სანამ მოხდენა სტიქიური უბედურება. შექმენით სტიქიური უბედურებების/ კოვიდ-19-ის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული რაიონებისა და ობიექტების ერთობლივი (ურთიერთგადამფარავი) რუქები. როგორც ინფექციის, ასევე სტიქიური უბედურებების რისკების შემცირება შესაძლებელია რისკისადმი მიდრეკილ რაიონებში წასვლისგან თავის არიდებით. საფრთხეების რუქები ასევე უნდა მოიცავდეს კატასტროფის და პანდემიის ორმაგი ზემოქმედებით გამოწვეულ შესაძლო საფრთხეს და წყალთან დაკავშირებულ შესაძლო საფრთხეს შინამეურნეობების დონეზე.
- გადახედეთ და გააუმჯობესეთ ადრეულ გაფრთხილებისა და ევაკუაციის არსებული სისტემები, რათა ისინი აკმაყოფილებდეს როგორც უსაფრთხო ევაკუაციის, ასევე კოვიდ-19-ით ინფიცირების პრევენციის მოთხოვნებს. შეიმუშავეთ ლაკონური და მკაფიო „ადრეულგაფრთხილების“ საკომუნიკაციო შეტყობინებები, რომლებიც დაკავშირებულია ევაკუაციასთან და სტიქიურ უბედურებაზე რეაგირების სხვა პუნქტებთან პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და სახელმძღვანელოების კონტექსტში.¹
- ჩაატარეთ DRR და კოვიდ-19-ის ერთობლივი რისკების შესახებ საინფორმაციო კამპანიები. გააძლიერეთ ინფორმირებულობა კატასტროფებთან დაკავშირებული მედეგობის გაძლიერების მნიშვნელობის შესახებ რისკის მატარებლებისთვის, მათ შორის პანდემიისათვის, რათა უკეთ იყოს მომზადებული პრევენციული ღონისძიებების გატარების და კატასტროფისადმი მედეგობის გაძლიერების შესახებ ცოდნის გაღრმავებით. ჩაატარეთ რისკების შეფასება და გაავრცელეთ ინფორმაცია თანმდევი საფრთხეების შესახებ მაღალი რისკების ზონებში.
- უზრუნველყავით, რომ კატასტროფის მმართველი ჯგუფები ინარჩუნებდნენ გამჭვირვალობას კატასტროფის შედეგებთან და რეაგირების ღონისძიებებთან, და კოვიდ-19-ის პრობლემების გათვალისწინებასთან მიმართებაში. საზოგადოებას და კატასტროფის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს უნდა შეეძლოთ სარწმუნო და განახლებული ინფორმაციის მიღება. კატასტროფის მართვის ჯგუფმა უნდა შეასრულოს შუამავლის როლი საზოგადოებრივი თანამშრომლობის ორგანიზების საქმეში, საჭიროებების (მონაცემების საფუძველზე) და დახმარების მოწოდების (საზოგადოებისგან) მისადაგებით, განსაკუთრებით დაავადების თავიდან ასაცილებლად თანხების მოძიების საქმეში. შექმენით თანამშრომლობის პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იქნება დახმარების მისადაგება საჭიროებებთან.
- გაააქტიურეთ არსებული ახალგაზრდული ჯგუფები DRR -ისთვის, რათა მოუწოდონ სოლიდარობისა და თანამშრომლობისთვის კოვიდ-19-ის გავრცელების შეკავებისკენ, რადგან ახალგაზრდების ქცევა გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს დაავადების გაკონტროლების საქმეში. ითანამშრომლეთ ახალგაზრდულ ჯგუფებთან კატასტროფის მართვისას და შედეგების ლიკვიდაციისას კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, გამოიყენეთ მათი სპეციალური შესაძლებლობები, მაგ. ICT-ში, ინოვაციებში, და მათი ადგილობრივი პარტნიორების მობილიზაციაში.

იმის გათვალისწინებით, რომ წყალი, სანიტარია და ჰიგიენა კოვიდ-19-ის პრევენციის და კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის კრიტიკული ელემენტია.

პრინციპი 3: უზრუნველყავით წყალმომარაგების, სანიტარიის და ჰიგიენის მდგრადობა კატასტროფამდე, მათ პერიოდში და მათ შემდგომ

- იცოდეთ, რომ ბუნებრივი საფრთხეები ხშირად იწვევს წყლის ხელმისაწვდომობის დარღვევას, რამაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს კოვიდ-19-ის შერბილების ღონისძიებებზე. წყლის მწვავე უკმარისობის მქონე რეგიონებში კატასტროფამ შეიძლება იმოქმედოს ხელების დაბანაზე, ნარჩენების მართვაზე და სხვა ქმედებებზე, რომელთა მიზანია კოვიდ-19-ის ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადადების პრევენცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გვალვებით გამოწვეულ რისკებს, ვინაიდან წყლის სიმწირემ შეიძლება შეაფერხოს სანიტარული კრიზისის შერბილების ღონისძიებები.
- დაიცავით წყლის ინფრასტრუქტურა დაბინძურებისგან, განსაკუთრებით წყლის წყაროებთან. განიხილეთ ალტერნატიული დაუბინძურებელი წყაროების გამოყენება, მათ შორის ზედაპირული ჩამონადენის მოგროვება და ჩამდინარე წყლების ხელახალი გამოყენება, რათა მოხდეს კატასტროფისა და პანდემიის დამატებითი საფრთხეების პრევენცია.
- წყალმომარაგების სამსახურების DRR გეგმები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ბუნებრივი საფრთხეების, არამედ პანდემიის ეფექტებს. პანდემის ზემოქმედებას იქონიებს პერსონალზე და, ამგვარად, მომსახურების მიწოდებაზე. პროცესის ყველა ეტაპი უნდა მოიცავდეს ჰიგიენის პროპაგანდას სხვადასხვა არხებით, როგორცაა სამედიცინო ცენტრები, წყლის/სანიტარული ობიექტების წვდომის პუნქტები და საგანგებო პერსონალი.
- ხელი შეუწყეთ კვლევისა და ანალიტიკურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ვირუსით ინფიცირებული თემების ჩამდინარე წყლებში კოვიდ-19-ის კვალის აღმოჩენა, რათა მოხდეს რისკების პრევენცია, განსაკუთრებით სტიქიური უბედურებების დროს. უნდა სცადოთ ახალი მიდგომების გამოყენება, როგორცაა ჩამდინარე წყლებზე დაფუძნებული ეპიდემიოლოგია (WBE). ისინი შეიძლება ეფექტიან და სწრაფ მეთოდებს წარმოადგენდეს წყლიდან და კანალიზაციის სისტემიდან კოვიდ-19-ის პოტენციური გავრცელების პროგნოზირებისთვის.
- სთხოვეთ კომუნალურ სამსახურებს, რომ გააძლიერონ ციფრული ინსტრუმენტების და დისტანციური ავტომატიზაციის/ მონიტორინგის სისტემების როლი ბიზნეს-საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის გეგმებში. ყველა, გარდა წყალმომარაგების და კანალიზაციის უმნიშვნელოვანესი ოპერატიული ჯგუფებისა, უნდა მუშაობდეს დისტანციურად, თუ შესაძლებელია კოვიდ-19-ის პირობებში. რაც შეეხება სავსე თანამშრომლებს, ჯგუფებს დიფერენცირებული სამუშაო ცვლები უნდა მიენიჭოთ კარანტინის ციკლის გათვალისწინებით და ხელი უნდა მიუწვდებოდეთ კოვიდ-19 ინდივიდუალურ დამცავ აღჭურვილობაზე (PPE).

იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პანდემიის პირობებში წყალდიდობებზე და გვალვებზე რეაგირებას და მათი შედეგების ლიკვიდაციას ესაჭიროება კრიტიკული ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები.

პრინციპი 4: დაიცავით კატასტროფის მართვაში ჩართული დაინტერესებული მხარეები კოვიდ-19-ის საფრთხისგან

- გაანათლეთ და სტრატეგიულად გააძლიერეთ DRR დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობები კოვიდ-19-თან მიმართებაში. კატასტროფის მართვაში ჩართულ თანამდებობის პირებს და მოხალისეებს მიაწოდეთ ხელმისაწვდომი, ლაკონური და მკაფიო სახელმძღვანელოები („გაიდლაინები“) თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან ინფიცირება. მაგალითად, გამოიყენეთ საინფორმაციო ბუკლეტები რჩევებით, ჩაატარეთ ვებინარი და ა.შ. სახელმძღვანელოებში და ყოველდღიურ საკონტროლო ნუსხებში ჩართეთ სოციალური დისტანციის დაცვის მითითებები DRR აქტოვებებში.
- დარწმუნდით, რომ DRR დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მოხალისეები, კატასტროფის მზადების/ პრევენციის/ შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებში მონაწილეობისას აღჭურვილნი არიან კოვიდ-19 სტანდარტული დამცავი საშუალებებით, როგორცაა ნიღბები. თუ შესაძლებელია, მოიმარაგეთ ისინი, და, აგრეთვე კოვიდ-19 ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა (PPE) ინფექციის მაღალი რისკის შემთხვევებში გამოსაყენებლად. ეფექტური იქნება DRR პერსონალისთვის PPE-ს მომარაგება პანდემიის ტალღებს შორის, როდესაც ხდება PPE-ს ჭარბად მოწოდება არასამედიცინო საჭიროებებისთვის.
- მოითხოვეთ კატასტროფის მართვაში ჩართული პერსონალის ყოველდღიური სამედიცინო თვითშემოწმება, რათა მოხდეს მათთან კონტაქტისას კოლეგების და ევაკუირებულ პირების შესაძლო ინფიცირების პრევენცია.
- დააბალანსეთ კატასტროფის სწრაფი პრევენციის/ ლიკვიდაციის საჭიროება და კოვიდ-19-ის ძლიერი და შედარებით სუსტი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ რაიონებს შორის DRR პერსონალის, მათ შორის მოხალისეების გადაადგილების გამო დაავადების გადადების თავიდან აცილების საჭიროება.
- დარწმუნდით, რომ კატასტროფასთან დაკავშირებული მონიტორინგისა და გაფრთხილების ხარისხი მოწმდება და ნარჩუნდება, რადგან პასუხისმგებელი თანამდებობის პირების კარანტინში ყოფნამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მასზე.

პრინციპი 5: დაიცავით მწირი სამედიცინო რესურსები კატასტროფის ზემოქმედებისგან

- თავი აარიდეთ გამოყოფილი საავადმყოფოებისა და სამედიცინო ობიექტების გამოყენებას ევაკუაციისთვის. ამოიღეთ ეს შენობები სპეციალურად გამოყოფილი საევაკუაციო ადგილების ნუსხიდან საფრთხეების რუქებსა და DRR გეგმებში.

- პრიორიტეტი მიანიჭეთ სამედიცინო პერსონალის, ობიექტების და აღჭურვილობის დაცვას კატასტროფის ზემოქმედებისგან შემდეგი გზებით:
 - გადაიტანეთ უმნიშვნელოვანესი ელექტროდენის გენერატორები წყალთან დაკავშირებული კატასტროფისგან (წყალდიდობა და ა.შ.) დაცულ ადგილზე და უზრუნველყავით საავადმყოფოები, ჯანდაცვის პუნქტები და სამედიცინო ობიექტები ელექტრომომარაგების დამხმარე საშუალებებით;
 - ადრეულ ეტაპზე გადაიყვანეთ კატასტროფის მართვის პერსონალი საავადმყოფოებში, ჯანდაცვის პუნქტებში და სამედიცინო ობიექტებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომუნიკაცია და შესაბამისი DRR კონსულტაციები;
 - ადრეულ ეტაპზე გადაიტანეთ უმნიშვნელოვანესი სამედიცინო აღჭურვილობა და მასალები ზედა სართულებზე,
 - შექმენით საევაკუაციო გეგმები პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალისთვის, ინფექციური ზონების გათვალისწინებით,
 - პრიორიტეტი მიანიჭეთ წყალმომარაგებას, კანალიზაციას და ჰიგიენას საავადმყოფოებისთვის, ჯანდაცვის პუნქტებისა და სამედიცინო ობიექტებისთვის, თუ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები დაზიანდა კატასტროფის გამო,
 - განსაზღვრეთ უსაფრთხო ლოკაციები პანდემიაზე რეაგირებისთვის საჭირო სარეზერვო სამედიცინო ობიექტებისთვის, რათა საჭირო არ გახდეს დამატებითი მოკლევადიანი კოვიდ-19-ის საავადმყოფოების მშენებლობა სტიქიური უბედურებისადმი მიდრეკილების მქონე რაიონებში, მაგ. დაბლობებში,
 - კატასტროფის დადგომამდე საგანგებო მდგომარეობის მართვაზე პასუხისმგებელ სამედიცინო პერსონალს ჩაუტარეთ სწავლება საბაზისო DRR-ში.

იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი საფრთხეებისგან და კოვიდ-19-ისგან გამომდინარე რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილიანობის ზრდა.

პრინციპი 6: დაცვით კატასტროფის გამო ევაკუირებული პირები კოვიდ-19-ის საფრთხისგან

- დაუყოვნებლის შექმენით ან გადახედეთ ევაკუაციის გეგმებს, რაც მოიცავს ადაპტირებულ თავშესაფრებს სოციალური დისტანციის, ჰიგიენის ხელშეწყობის და კარგი თავშესაფრის მოწყობის პრინციპების უზრუნველყოფას. უზრუნველყავით საევაკუაციო შენობების/პუნქტების სათანადო ვენტილაცია, რათა მოხდეს კლასტერული ინფექციის პრევენცია. განსაზღვრეთ დამატებითი შენობები და ფართები, რომლებიც, შესაძლოა, საჭირო გახდეს სპეციფიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ევაკუირებული პირების კოვიდ-19-სგან დაცვის მიზნით, როგორცაა სოციალური დისტანციის დაცვა და გამოყოფილი ფართები თვით-იზოლაციაში მყოფი პაციენტებისთვის. იდეალურ შემთხვევაში, უნდა შეიქმნას სპეციალური თავშესაფრები სამედიცინო პუნქტებით კოვიდ-19-იანი პაციენტებისთვის და ცალკე შენობები/ პუნქტები/ ფართები თვითიზოლაციაში მყოფი პაციენტების ევაკუაციისთვის.
- როდესაც და სადაც შესაძლებელია, ხელი შეუწყეთ ვერტიკალურ ევაკუაციას, როგორც ევაკუაციის პრიორიტეტულ მეთოდს. ეს ნიშნავს ევაკუირებული პირების სახლის ან მეზობლად მდებარე სახლის მეორე ან ზედა სართულზე ევაკუაციას, თუკი ეს უსაფრთხოა. ეს საჭიროა იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ინციდენტები, ვმართოთ სტიქიური უბედურების პირისპირ დადგომის შემთხვევები ევაკუაციის პერიოდში და შევამციროთ

ადამიანთა სიმჭიდროვე საევაკუაციო თავშესაფრებში, რაც შეამცირებს თავშესაფრებში ვირუსით ინფიცირების რისკს. იმ რაიონებში, სადაც ვერტიკალური ევაკუაცია შეუძლებელია, როგორცაა, მაგალითად, ბრტყელი დაბლობები, განიხილეთ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით მაღალ შენობებში, თავშესაფრებში და ფართებში ადრეული ევაკუაციის საკითხი, რათა თავიდან იქნას აცილებული ევაკუირებულ პირთა „საცობის“ შექმნა.

- განსაზღვრეთ და დაგეგმეთ ადრეული ევაკუაცია კომპლექსური საფრთხეებისგან ყველაზე მოწყვლადებისთვის, სოციალური ინკლუზიის მიდგომით, მაგ. ხანდაზმულები, ინვალიდები, ორსული ქალები და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები.
- უხვად უზრუნველყავით ევაკუირებული პირები სუფთა წყლით, საპნით, სანიტარული ნივთებით და სანიტარული საფენებით.
- ჩაატარეთ საბაზისო სამედიცინო შემოწმება, როგორცაა ევაკუირებული პირებისთვის სიცხის გაზომვა.
- მოახდინეთ კოვიდ-19-თან დაკავშირებული დისკრიმინაციის პრევენცია ევაკუირებული პირების მიმართ და მათ შორის. გამჭვირვალედ აცხადეთ და ავრცელეთ ზუსტი ინფორმაცია კატასტროფის და კოვიდ-19-ის სტატუსის და შედეგების შესახებ, ვინაიდან პანიკის სიტუაციაში სწრაფად და ფართოდ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია და ხელოვნურად შეთითხნილი ახალი ამბები.
- ურჩიეთ მოქალაქეებს, რომ კატასტროფის დადგომამდე საევაკუაციო კომპლექტებში ჩადონ ნიღბები, ხელსახოცები, საფენები, პირსახოცები და თერმომეტრები.
- მოუწოდეთ რომ შემოწირულობები გააკეთონ ფულადი სახით და არა რაიმე ტიპის მასალების სახით, რომლებიც შესაძლოა დაბინძურებულნი იყვნენ პანდემიის პირობებში. პროპაგანდა გაუწიეთ ფულის ელექტრონულ გადარიცხვას DRR გადახდების ყველა ასპექტში, რათა შემცირდეს ნაღდი ფულის საშუალებით კოვიდ-19-ით ინფიცირების რისკი.

პრინციპი 7: დაიცავით კოვიდ-19-იანი პაციენტები კატასტროფის საფრთხისგან

- უზრუნველყავით, რომ DRR -ს და კოვიდ-19-ს ენიჭება ინტეგრირებული უმაღლესი პრიორიტეტი: აირიდეთ რისკები, რომლებიც უშუალოდ საფრთხეში აგდებს ადამიანის სიცოცხლეს.
- გაიაზრეთ და ერთობლივი ღონისძიებები გაატარეთ კოვიდ-19-ის შერბილებისთვის ინფექციური დაავადებების სამედიცინო კონტროლის პრინციპების საფუძველზე. ეს სამედიცინო პრინციპები მოიცავს: 1. ინფექციის წყაროს ლიკვიდაციას; 2. გადადების გზის გადაკეტვას; 3. მოწყვლადი ჯგუფების დაცვას.
- შექმენით დაცვის გეგმები თვითიზოლაციაში და სპეციალურად გამოყოფილ ობიექტებზე მყოფი კოვიდ-19-იანი პაციენტებისთვის, რაც მოიცავს: კომუნიკაციისა და შეტყობინებების საშუალებებს; კატასტროფის შემთხვევაში უსაფრთხო საკარანტინო ობიექტებში ევაკუაციის გეგმებს და სამედიცინო მხარდაჭერას ევაკუაციის შემდგომ.

პრინციპი 8: შეიმუშავეთ ევაკუაციის სპეციალიზებული გაიდლაინები კოვიდ-19-ით გამოწვეული ლოქდაუნის მდგომარეობაში მყოფი ქალაქებისა და რაიონებისთვის

- განსაკუთრებული ადრეული გაფრთხილება მიეცით ლოქდაუნის მდგომარეობაში მყოფ რაიონებს, რათა უზრუნველყოთ ეფექტიანი ევაკუაცია და უსაფრთხოების გარანტია და მოახდინოთ პანიკური ქმედებების პრევენცია.
- შექმენით სათანადო საგანგებო საევაკუაციო გეგმები ლოქდაუნის სიტუაციებისთვის, რათა მოახდინოთ პანიკის და ინფექციის გაძლიერებული გავრცელების პრევენცია. უნდა განიხილებოდეს კონკრეტული ვადების ფორმატზე დაფუძნებული კატასტროფაზე რეაგირების გეგმები, რომლებიც მოიცავს კონკრეტულ რაიონებში კონკრეტული შეზღუდვების მოხსნას.
- უზრუნველყავით კოორდინაცია ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, რათა გამოიყოს უსაფრთხო ადგილები და განისაზღვროს ევაკუაციის მარშრუტები ლოქდაუნის პერიოდში მომხდარი კატასტროფის შემთხვევაში.

იმის გათვალისწინებით, რომ კატასტროფის სათანადოდ მართვა კოვიდ-19-ის პირობებში მილიარდობით დოლარს დაზოგავს მსოფლიოს მასშტაბით.

პრინციპი 9: ეფექტიანად დააფინანსეთ DRR ღონისძიებები კოვიდ-19-ის პირობებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკური კატასტროფა

- სრულად დააფინანსეთ პანდემიის დაფინანსების მოთხოვნა, იმავდროულად უნდა გაგაჩნდეთ ბიუჯეტი და თანხები საგანგებო გარემოებებისთვის, რათა გამოიყენოთ კატასტროფების და კლიმატთან დაკავშირებული რისკების შემთხვევაში; გახსოვდეთ, რომ გაერთიანებულმა საფრთხეებმა შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი ეკონომიკური კატასტროფა. დადეთ საგანგებო გარემოებებში დაფინანსების ხელშეკრულებები ბანკებთან და/ ან სადაზღვევო კომპანიებთან, რათა მათ სწრაფად შეძლონ თანხების წვდომა და კატასტროფებზე რეაგირება.
- უზრუნველყავით მოქნილი დაფინანსება და გადარიცხვები, რათა მისცეთ DRR-ში მონაწილე მხარეებს საშუალება, რომ დაგეგმონ და რეაგირება მოახდინონ სწრაფად წარმოქმნილ და ცვალებად რისკებზე კოვიდ-19-ის გარემოებებში.
- განაახლეთ კატასტროფის რისკების მართვის შესაძლებლობები, რათა ჩამოაყალიბოთ გლობალური, ციფრული და მონაცემებზე დაფუძნებული გეგმა, რომელიც მოიცავს მონაცემებს ფასების, მომწოდებლების, მოწოდების ვადების და სპეციფიკაციების შესახებ, უმნიშვნელოვანესი საქონლისა და სერვისების შესასყიდად, სტიქიურ უბედურებების და პანდემიის საკითხების მოსაგვარებლად. იქონიეთ გეგმები, რათა გაუმკლავდეთ ისეთ გამოწვევებს, როგორცაა, მაგალითად, წარმოების არასაკმარისი სიმძლავრე, გრძელი და შენელებული მოწოდების სისტემები და კონკურენტი შემსყიდველები.
- წახალისეთ ციფრული გადახდის მექანიზმი DRR ტრანზაქციებში სატელეფონო ციფრული ვალუტის გადახდის და ციფრული ვალუტის საშუალებით, როგორც ამჟამად

გაავრცელა წითელმა ჯვარმა აღმოსავლეთ აფრიკაში კატასტროფის მსხვერპლთათვის კონტაქტით ინფიცირების გზით კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ერთდროულად კოვიდ-19-ის და კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გლობალური სოლიდარობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იზოლაცია.

პრინციპი 10: განამტკიცეთ გლობალური სოლიდარობა და საერთაშორისო თანამშრომლობა ამ ერთდროულ გამოწვევებთან გასამკლავებლად და ჩვენი სამყაროს აღსადგენად უკეთესი სახით.

- მსხვილი მასშტაბის კატასტროფის შემთხვევაში მიაწოდეთ საერთაშორისო საზოგადოებრიობას ზუსტი და დროული ინფორმაცია კატასტროფისა და მისი ზემოქმედების შესახებ, გამჭვირვალობისა და ანგარიშმგებლობის გათვალისწინებით, სისტემატურად, რათა უზრუნველყოთ გლობალური ნდობა და ზემოქმედების ქვემოქცეული ქვეყნის ეკონომიკის მართვა.
- მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა და UNDRR -ის ჩართულობით, მიმართეთ მსოფლიოს მეტეოროლოგიურ/ კლიმატის სააგენტოებს თხოვნით, რომ აქტიურად განახორციელონ კოვიდ-19-თან მეტეოლოგიური სპეციალური ჯგუფების კოორდინაცია და მიაწოდონ მათ პროგნოზები სავარაუდო კლიმატური და ამინდთან დაკავშირებული რისკების შესახებ, რათა გააფრთხილონ ისინი წყალთან დაკავშირებული შესაძლო კატასტროფების შესახებ კონკრეტულ რაიონებში.
- საჭიროების შემთხვევაში იყავით საერთაშორისო DRR და ჰუმანიტარული დახმარების პერსონალისა და აღჭურვილობის ხელშესაწყობად. შესვლის აკრძალვის მოქმედების პერიოდში საერთაშორისო DRR და ჰუმანიტარული დახმარების პერსონალს შესაძლოა დასჭირდეს დაწესებული პროტოკოლები, რათა შევიდნენ ზემოქმედების ქვემოქცეულ ქვეყნებსა და რაიონებში. ქვეყნებმა წინასწარ უნდა განიხილონ და დაგეგმონ ხელშეწყობის ღონისძიებები, როგორცაა ვიზების გაცემა, კარანტინის გავლა და საბაჟო ფორმალობების ჩატარება, და პროტოკოლები პანდემიის პერიოდში უსაფრთხო დახმარებისთვის. გაგზავნილი ჯგუფები აღჭურვილ უნდა იქნან დაცვის კომპლექტებით. კოვიდ-19-ის ზემოქმედების ქვემოქცეულ რაიონებში შესვლამდე ასეთი საერთაშორისო დახმარების ჯგუფებს უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო ინსტრუქტაჟები. პროპაგანდა უნდა გაუწიოთ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის (IFRC) მიერ შემუშავებული „ქვეყნის შიგნით სტიქიური უბედურებისას საერთაშორისო დახმარების ხელშეწყობის და რეგულირების და შედეგების საწყის ლიკვიდაციაში დახმარების გაიდლაინების (IDRL გაიდლაინები)“ გამოყენებას.
- იმსჯელეთ პანდემიასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და რეგულაციების სპეციალიზირებული რეგიონული ორგანოების შექმნაზე, DRR პოლიტიკისა და რეგულაციების მაგალითების გათვალისწინებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) წევრმა ქვეყნებმა, მაგალითად, მოაგვარეს ეს საკითხი DRR-სთვის ტრანს-სასაზღვრო და რეგიონული/ საერთაშორისო თანამშრომლობა რეგიონული ცენტრის შექმნის გზით. ასეთი მექანიზმი მნიშვნელოვანია საზღვრების ხელახლა გახსნაზე მსჯელობისას და უმნიშვნელოვანესი საგნებით ვაჭრობისა და ადამიანების მდგრადი ხელშეწყობისთვის სწრაფად ცვალებად გარემოებებში.

- უნდა განიხილოთ სპეციალური პროტოკოლის და მზრუნველობის/მოვლის ფორმის შექმნა და არა შესვლის აკრძალვა კოვიდ-19-ის გამო, მიგრანტებისთვის და ლტოლვილებისთვის, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების გამო.
 - რუკაზე დაიტანეთ რისკები მრავალი გადმოსახედიდან და იმუშავეთ ერთობლივად, ტრანს-სასაზღვრო პარტნიორებთან თანამშრომლობით, რადგან საფრთხეები არ ცნობენ საზღვრებს ან პოლიტიკას. განიხილეთ დარგთაშორისი გადაწყვეტები, როგორცაა: წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჰიგიენა; ენერგეტიკა; განათლება; ჯანდაცვა და კვება; საარსებო შემოსავალი; ბავშვთა და სოციალური დაცვა; თავშესაფრითა და საცხოვრისით უზრუნველყოფა; და საზოგადოებისთვის ღია სივრცეები.
 - გაუწიეთ საერთაშორისო დახმარება დაბალ- და საშუალო-შემოსავლიან ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ გაუმკლავდნენ [პანდემიის] აფეთქებას, იმის აღიარებით, რომ პირველ რიგში და ყველაზე მეტად ყურადღება უნდა მიექცეს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. ერთი ჩვენთაგანის მიმართ არსებული საფრთხე ყველა ჩვენთაგანის მიმართ არსებულ საფრთხეს ნიშნავს. გახსოვდეთ, რომ კოვიდ-19-თან და კატასტროფებთან ბრძოლაში ჩვენი სიძლიერე ჩვენს შორის ყველაზე სუსტი რგოლით განისაზღვრება.
 - გამოიყენეთ კოორდინირებული მიდგომა საზღვრებს მიღმა და მთავრობების ფარგლებში რისკების გააზრებისა და შემცირებისთვის. კოვიდ-19-მა დაგვანახა მთელი მთავრობის შემადგენლობით მიდგომის საჭიროება, რომელიც არეგულირებს ყველა შესაბამისი სამინისტროს, მათ შორის, კატასტროფების რისკების მართვის ეროვნული სააგენტოების შესაძლებლობებს.
 - დაიწყეთ აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა ახლა, რათა ჩვენი სამყარო უკეთესი სახით აღდგეს. ეროვნულმა და ადგილობრივმა მთავრობებმა, სტიქიური უბედურებების რისკების შემცირების საკუთარ ეროვნულ და ადგილობრივ გეგმებში უნდა გაითვალისწინონ ბიოლოგიური საფრთხეები და რისკები (სენდაის ჩარჩოები, სამიზნე ნიშნული (ე)). ამ განსაცდელის მიერ წარმოქმნილი გამოწვევები საფუძველს შეუქმნის ახალ გეგმებს და პროექტებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საჯარო და კერძო სისტემების მედეგობის ამაღლება სამომავლო საფრთხეების წინაშე.
-